



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის
61.30.07.2018 წ. ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება IV საფეხური

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- 365 2 2 11 03 ; T-599172005 ; 365 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებგვერდი: <http://opizarivet.ge/>

პროგრამის ხელმძღვანელი: მ. ოკოშვილი, ლ. კაკოშვილი, მ. ხითარიშვილი, ნ. გელაშვილი, ნ.ბალახაშვილი, ქ. კერესელიძე.

2018 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება

2. სარეგისტრაციო ნომერი 09112-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სასურსათო პროდუქტების წარმოებაში მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაციები შეესაბამება - „საკვები პროდუქტების გადამამუშავება“- კოდი 0721, აღმწერი - „საკვები პროდუქტების გადამამუშავება - შეისწავლის საკვები პროდუქტებისა და სასმელების გადამამუშავებასა და შეფუთვის, ასევე საკვები პროდუქტების წარმოებისა და დისტრიბუციის დროს გამოყენებულ მოწყობილობებსა და პროცედურებს“.

4. მიზანი

შემუშავებული იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რათა შრომის ბაზარი უზრუნველყოფილ იქნას კონკურენტუნარიან კადრით სასურსათო პროდუქტების წარმოებისთვის.

5. დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების შესაძლებლობები

სასურსათო პროდუქტების წარმოების შესაბამისი მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ხორცის გადამამუშავებლად, საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამამუშავებელი მანქანების ოპერატორად სახელმწიფო ან კერძო კომპანიებში.

ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016წ.) სფერო განსაზღვრულია - სექცია C - დამამუშავებელი მრეწველობა: 10 - კვების პროდუქტების წარმოება.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO): 8160 - საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამამუშავებელი მანქანების ოპერატორები, 7511 - ხორცის და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები.

7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო პროდუქტების წარმოება“ მოიცავს მეოთხე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას სასურსათო პროდუქტების წარმოებაში კერძოდ „ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“;

სასურსათო პროდუქტების წარმოებაში მეოთხე საფეხური სპროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად „ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების“ კონცენტრაციის/არჩევითი მიმართულების გავლის შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **85 კრედიტი**,

რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 18 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 52 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

მოცულობა: 85 კრედიტი, 18 თვე

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის 115 კრედიტი, 22 თვე

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
2	მეწარმეობა 2	2
3	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4	უცხოური ენა	5
5	რაოდენობრივი წიგნიერება	2
სულ		15
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სასურსათო პროდუქტების წარმოებაში	2
2	სურსათის უვნებლობა	2
3	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
4	ქიმია	4
5	ბიოლოგია	4
6	მიკრობიოლოგია 1	4
სულ		18

ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება - კონცენტრაციის მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ცხოველთა ანატომიური-ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებები	3
2	ცხოველთა დაავადებები სასურსათო პროდუქტების წარმოებაში	5
3	ცხოველთა მოვლის და კვების ზეგავლენა	1
4	ცხოველების ტრანსპორტირება და დასაკლავად მომზადება	7
5	ცხოველის დაკვლა და პირველადი დამუშავება	9
6	ტანხორცის (ხორცის) გადასამუშავებლად ან სარეალიზაციოდ მომზადება	8
7	შაშხისა და ლორის დამზადება	9

8	ძეხვეულის დამზადება	8
9	ხორცის კონსერვის წარმოების საფუძველები	1
10	ხორცის მორფოლოგია და ქიმია	1
სულ		52

8 სწავლის შედეგები

კონცენტრაცია/არჩევითი მიმართულება „ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაკვლის წინ მოამზადოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველი (მათ შორის ფრინველი);
2. უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველის (მათ შორის ფრინველის) ტრანსპორტირება;
3. დაკლას სასოფლო-სამეურნეო ცხოველი (მათ შორის ფრინველი);
4. პირველად დაამუშაოს ტან-ხორცი;
5. მოამზადოს ტან-ხორცი სარეალიზაციოდ;
6. მოამზადოს ტან-ხორცი გადასამუშავებლად;
7. დაამზადოს შაშხი;
8. დაამზადოს ლორი;
9. დაამზადოს ძეხვი.

9 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, „ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“;

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20 %-სა.

წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულის წავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით განათლების დამცნოელების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის

გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომელიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთის მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., შესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;

- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 85 კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა კვალიფიკაციის გამოცდის ჩაბარება.

12. მეოთხესაფეხურის პროგრამაში: „მოდულების, ქართულიენა A2 და ქართულიენა B1 გავლასავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიულის სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებამ იპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს განათლების დამცვენიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2

პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალურის საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები¹

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები²
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

პროფესიული სტანდარტები:

- სურსათის კონტროლის ლაბორატორიის ასისტენტი;
- კვების პროდუქტების წარმოების დანადგარების ოპერატორი;
- ძეხვის მშპრიცავი ოპერატორი;
- კვების წარმოების მანქანა-დანადგარების მექანიკოსი;
- ყასაბი;

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.);
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO);
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED).

ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის "საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია/შემუშავება" ფარგლებში.